ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

2023-2024

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის შესახებ

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია დაფუძნებულია მრავალწლიანი საგანმანათლებლო გამოცდილების საფუძველზე. 2014 წელს მოიპოვა ავტორიზებული პროფესიული დაწესებულების სტატუსი და დღემდე წარმატებით ახორციელებს სახელმწიფოს პრიორიტეტულ მიმართულებებში მომზადება–გადამზადების პროგრამებს.
2019 წლიდან აკადემია ISO 9001:2015 საერთაშორისო ხარისხის მართვის სისტემის სერტიფიცირებული ორგანიზაციაა. სხვადასხვა პერიოდში დაწესებულება დაჯილდოებულია 5-ვარსკვლავიანი შეფასებით (2016–2017) და სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ აღიარებულია „წლის საუკეთესო პარტნიორად“ (2018).
აკადემია ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც დანერგა „მშენებლობის მწარმოებლის“ დუალური პროგრამა, ხოლო ელექტროობის პროგრამის სტუდენტი გახდა სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ სტიპენდიანტი — რაც კერძო საგანმანათლებლო სექტორისთვის უნიკალური პრეცედენტი იყო.
სტრატეგიული პარტნიორობა აკადემიის ერთ-ერთი მთავარი ძალაა. დაწესებულება წევრია საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, კერძო კოლეჯების ასოციაციის და პროფესიული კონსულტირების ასოციაციის. პარტნიორთა ქსელი მუდმივად იზრდება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკისა და დასაქმების რეალურ შესაძლებლობებს.
BTA აქტიურად ახორციელებს სახელმწიფო და საგანმანათლებლო პროექტებს, მათ შორის:
• პროფესიული მომზადება/გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა;
• სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამა;
• შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამა.

მისია

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მისიაა მრავალპროფილური საგანმანათლებლო საქმიანობა, მომხმარებლებისათვის ინოვაციური მიდგომებით მაღალი ხარისხის სასწავლო-სამუშაო პირობების შეთავაზება. აკადემიის მისწრაფებაა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, ადამიანური კაპიტალის უწყვეტი განვითარება, რაც განსაზღვრავს მის როლს ეროვნულ და საერთაშორისო სივრცეში.

ხედვა

2025 წელს აღიარებულ იქნას ხარისხთან ასოცირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებად, რასაც დაწესებულების წარმატებაზე და პროფესიონალიზმზე ორიენტირებული მტკიცე გუნდი და მრავალფეროვანი პარტნიორობა განაპირობებს.

ღირებულებები

- განათლების ხელმისაწვდომობა;
- განვითარებისკენ სწრაფვა;
- სამართლიანობა;
- პიროვნებაზე ორიენტირებულობა;
- პროფესიონალიზმი და რეპუტაციაზე ზრუნვა



მოკლე მიმოხილვა

2023–2024 წლის ანგარიშგების პერიოდი აკადემიისთვის იყო განვითარების, სისტემური გაძლიერებისა და პროცესების სტაბილიზაციის წელი. სტრატეგიული და ოპერატიული გადაწყვეტილებები ემყარებოდა შიდა და გარე მონიტორინგის შედეგებს, შრომის ბაზრის ანალიზს და დაინტერესებულ მხარეთა მუდმივ უკუკავშირს.
სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული აქტივობების უმრავლესობა შესრულდა სრულად; რამდენიმე ამოცანა განხორციელდა საჭიროებისამებრ — რაც იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკურ და საგანმანათლებლო გარემოზე დამოკიდებული ცვლილებები მოქნილად, ოპერატიულად და დროულად იქნა გათვალისწინებული.
აკადემიამ შეძლო:

- ✓ პროგრამების პორტფელის გაფართოება;
- ✓ ინფრასტრუქტურისა და რესურსების ნაწილის განახლება;
- ✓ პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერა;
- ✓ ხარისხის შიდა და გარე აუდიტების წარმატებით გავლა;
- ✓ სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემის გაუმჯობესება;
- ✓ ფინანსური მდგრადობის შენარჩუნება და გაზრდა.

სტრატეგიული მიზანი 1. ინსტიტუციური განვითარება

1.1. საგანმანათლებლო მომსახურების განვითარება
საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შრომის ბაზრის აქტიური კვლევა, რის საფუძველზეც დასკვნა იყო, რომ აკადემიას ჰქონდა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზების პოტენციალი ორივე ლოკაციაზე. კვლევის შედეგები აჩვენებდა არა მხოლოდ დარგობრივი მოთხოვნების გაზრდას, არამედ კონკრეტული კვალიფიკაციებისთვის საჭირო კომპეტენციების დეფიციტსაც.
შედეგები:
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პორტფოლიო შეივსო თითო ახალი პროგრამით თბილისში და საჩხერეში.
განხორციელდა განმარტებითი სამუშაო პროცესი არაფორმალურ განათლებასთან დაკავშირებით — შეთავაზებული იყო მინიმუმ ერთი არაფორმალური განათლების აღიარების სერვისი.
კოლეჯმა მოამზადა და წარადგინა განაცხადი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე, რითიც შესაძლებელი გახდა უფრო დიდი ჯგუფების მიღება.
საჩხერეში ამოქმედდა საგანმანათლებლო ჰაბი და საფუძველი ჩაეყარა სტუმართმასპინძლობის სკოლას — რაც გახდა რეგიონისთვის მნიშვნელოვანი ახალი საგანმანათლებლო ცენტრი.
შედეგობრივი მაჩვენებლები:
პროგრამების ასორტიმენტი გაფართოებულია მოთხოვნის შესაბამისად.
გაზრდილია სტუდენტთა მიღების შესაძლებლობა.
რეგიონში გაძლიერდა აკადემიის როლი.

ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა

ამ მიმართულებით აკადემიამ წელს შეძლო სტაბილური და პროგნოზირებადი ფინანსური გარემოს ფორმირება. სტუდენტთა მიღების კამპანია ეფექტიანად დაიგეგმა და წარიმართა, რამაც უზრუნველყო პროფესიული სტუდენტების კვოტის არანაკლებ 80%-ით შევსება. ეს შედეგი პირდაპირ აისახა როგორც შემოსავლის ზრდაზე, ისე დაწესებულების ოპერაციული მდგრადობის განმტკიცებაზე.

საანგარიშო პერიოდში აკადემიამ წარმატებით მონაწილეობა მიიღო ტენდერსა/საგრანტო პროექტში, რის შედეგადაც მოიპოვა დამატებითი ფინანსური რესურსი და გააფართოვა საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელების შესაძლებლობები. ფინანსური მართვის სისტემამ დაამტკიცა თავისი ეფექტიანობა: საერთო შემოსავალი გაიზარდა 20%-ზე მეტად, რაც მიუთითებს სწორი დაგეგმვის, რისკების მართვისა და შემოსავლების დივერსიფიკაციის შედეგზე.

გარდა ამისა, დროულად იქნა შემუშავებული და დამტკიცებული წლიური ბიუჯეტი, რომელიც სრულად ასახავდა წლის სტრატეგიულ პრიორიტეტებს. ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელდა ყველა დაგეგმილი ფინანსური ოპერაცია — ხარჯვით ნაწილში დაცული იყო გონივრული განაწილება, ხოლო შემოსავლების ნაწილში — რეალისტური პროგნოზები და შესრულება.

აკადემიამ მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა როგორც კომუნიკაციის, ისე ტექნიკური ინფრასტრუქტურის მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში სრულად განახლდა აკადემიის ვებ-გვერდი და სოციალური ქსელების ოფიციალური გვერდები, რამაც უზრუნველყოფა ინფორმაციის დროულ და მუდმივ განახლებას. ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიება, სიახლე და განაცხადი ხელმისაწვდომი იყო აქტუალურ ფორმატში, რაც მნიშვნელოვნად ზრდიდა გამჭვირვალობასა და საზოგადოებასთან ეფექტურ კომუნიკაციას.
დაწესებულებამ ასევე განაახლა საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რაც ხელს უწყობდა სწორ და სრულ ინფორმირებას როგორც მომავალი სტუდენტებისთვის, ისე პარტნიორი ორგანიზაციებისთვის.
IT ინფრასტრუქტურის მიმართულებით განხორციელდა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები — მომწესრიგებელი და პროფილაქტიკური ტექნიკური სამუშაოები, სისტემების სტაბილურობის მუდმივი მონიტორინგი და მონაცემთა დაცვის სტანდარტების დაცვა.
საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა ეტაპობრივად ვითარდებოდა: განახლდა შიდა დოკუმენტბრუნვის პროცესები, გაუმჯობესდა ატვირთვისა და შენახვის მექანიზმები, რაც ადმინისტრაციული მუშაობის წარმართვას უფრო ეფექტიანს და სწრაფს ხდიდა.
EMIS-ის მიმართულებით უზრუნველყო კანონმდებლობით განსაზღვრული მონაცემების ზუსტი და თანამედროვე ასახვა. ეს გულისხმობდა სტუდენტთა, პროგრამების, პერსონალისა და ინფრასტრუქტურის მონაცემების სრულ შესაბამისობას რეგულაციის მოთხოვნებთან.

ინფრასტრუქტურისა და საგანმანათლებლო რესურსების განვითარება

გეგმასთან თანხვედრაში მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

- **სასწავლო და სამუშაო გარემო განახლდა მინიმუმ 10%-ით. ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული რესურსები**
- **გაიზარდა მინიმუმ 3%-ით, შემუშავდა და განახლდა კატალოგი.**
- **შეიქმნა/განახლდა მინიმუმ ერთი საგანმანათლებლო რესურსი.**
- **უსაფრთხოების სპეციალისტის ზედამხედველობით განხორციელდა რისკების შეფასება, ინსტრუქტაჟები, სარეგისტრაციო დოკუმენტაცია.**
- **საჩხერეში მიმდინარეობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობისა და საერთო საცხოვრებლის აშენება, რომელიც სამოქმედო გეგმაში იყო განსაზღვრული და ეტაპობრივად სრულდება.**
- **ინვენტარიზაციის პროცესი დასრულდა და დამტკიცდა შესაბამისი დოკუმენტი.**
- **ინფრასტრუქტურული განვითარება პირდაპირ აისახა სწავლის პროცესის ხარისხზე, სივრცეების კომფორტზე და სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობაზე.**

პერსონალის განვითარება
აკადემია მიზანმიმართულად ქმნიდა თანამშრომლების მოზიდვის, შენარჩუნებისა და განვითარების ეკოსისტემას.
შედეგები:
ადმინისტრაციაში და საჩხერის ფილიალში დაემატა ახალი თანამშრომლები.
თითოეულ პროგრამაზე დამატებულია მინიმუმ ერთი ახალი დარგობრივი განმახორციელებელი.
პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებელმა შეადგინა 75%-ზე მეტი, ხოლო თანამშრომელთა შენარჩუნების მაჩვენებელი — 85%.
განხორციელდა პროფესიული განვითარების ღონისძიებების მინიმუმ 80%, მათ შორის ტრენინგები, სასერტიფიკატო პროგრამები, შიდა შეხვედრები.
ჩატარდა თიმბილდინგი და კორპორატიული ღონისძიებები — რაც განამტკიცებს გუნდურ კავშირებს.
პროფესიული მასწავლებლები ინტეგრირდნენ დარგობრივ ქსელებში.
ეს ყველაფერი უზრუნველყოფს აკადემიის ადამიანური კაპიტალის მდგრადობასა და პროფესიულ ზრდას.

სტრატეგიული დაგეგმვა და თვითშეფასება
რექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი მუდმივად ახორციელებდა გეგმის მონიტორინგს, კორექტირებას და შიდა დოკუმენტების რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.
შედეგები:
განხორციელდა შიდა თვითშეფასება.
მარეგულირებელი დოკუმენტები სინქრონიზებულია ეროვნულ რეგულაციებთან.
მომზადებულია წლიური ანგარიშგებები და მომდევნო წლის გეგმები.

სტრატეგიული მიზანი 2. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება

საანგარიშო პერიოდში აკადემიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გამართულობას, პროცესების მონიტორინგს, შეფასებასა და შედეგებზე რეაგირებას. განხორციელებული აქტივობები მოიცავდა როგორც შიდა აუდიტის, ისე გარე შეფასებების სათანადოდ მომზადებასა და შედეგების საფუძველზე პროცესების გაუმჯობესებას.

შიდა აუდიტი და თვითშეფასება
წლის განმავლობაში ხორციელდებოდა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი, რომლის ფარგლებში გაანალიზდა თითოეული შემადგენელი სტანდარტი. შედეგად მომზადდა თვითშეფასების სრული დოკუმენტი, სადაც ასახულია როგორც ძლიერი მხარეები, ისე ის მიმართულებები, რომლებშიც საჭირო იყო პროცესების გაძლიერება. გარდა ამისა, ხარისხის სამსახურმა უზრუნველყო შეფასების შედეგების გაზიარება დაინტერესებული მხარეებისთვის, რაც ხელს უწყობდა პროცესების გამჭვირვალობას და თანამშრომელთა ჩართულობას.

აქტიურად ჩატარდა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების კმაყოფილების კვლევები — პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, პროგრამის განმახორციელებელი პირთა და ადმინისტრაციული პერსონალის. მოთხოვნილი მინიმუმ 60%-იანი რეაგირების მაჩვენებელი მიღწეული იყო ყველა ჯგუფში. თითოეულ კვლევას დაედო საფუძვლად ანალიტიკური ანგარიში, რომელთა რეკომენდაციები გამოყენებულ იქნა არსებული პროცესების კორექტირებისთვის.

ასევე განხორციელდა კურსდამთავრებულთა კვლევა, რომლის შედეგად აკადემიამ მიიღო ინფორმაცია დასაქმების დინამიკისა და პროგრამების შრომის ბაზართან შესაბამისობის შესახებ.

შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ჩატარდა დაგეგმილი გრაფიკის შესაბამისად; მომზადდა ვერიფიკაციის დასკვნა და საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი იყო გაუმჯობესების რეკომენდაციები და შესაბამისი გეგმა. ვერიფიკაციის შედეგები გამოიყენებოდა როგორც პროგრამების შინაარსობრივი, ისე ინსტრუმენტების ტექნიკური დონის ასამაღლებლად.

ყველა ზემოაღნიშნული პროცესის შედეგებზე დაყრდნობით განხორციელდა მიზნობრივი ცვლილებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში — საჭიროების შემთხვევაში გადაიხედა მოდულების შინაარსი, სწავლის შედეგები და შეფასების მიდგომები, რათა უზრუნველყოფილიყო კიდევ უფრო მაღალი შესაბამისობა ავტორიზაციის მოთხოვნებთან.

სტრატეგიული მიზანი 2. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება

ხარისხის შიდა და გარე შეფასებები

შიდა ხარისხი:

სრულდებოდა მონიტორინგი, შეფასება, გამოკითხვები, ვერიფიკაცია.

გამოკითხული იყო:

სტუდენტები,
მასწავლებლები,
ადმინისტრაცია,
კურსდამთავრებულები,
დამსაქმებლები.

გადამუშავებული და ანალიზირებული მონაცემები ქმნიდა საფუძველს განვითარებისთვის.

გარე ხარისხი:

წარმატებით ჩატარდა ISO 9001:2015 გარე აუდიტი და EQE-ს მიერ შეფასება.

ორივე შემთხვევაში აკადემიამ შენარჩუნებული აქვს ავტორიზაცია და საერთაშორისო ნიშანი, რაც ᲞᲬᲔᲜᲘᲖᲔ მაღალი ნდობის მაჩვენებელია.

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

შედეგები:

განახლებულია არსებული პროგრამები შრომის ბაზრის მოთხოვნების მიხედვით.

მომზადდა ახალი მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამა და მიღებულია მისი განხორციელების უფლება.

პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულია ახალი თანამშრომლობის შეთანხმებები პრაქტიკული კომპონენტის გასაძლიერებლად.

სტრატეგიული მიზანი 3. სტუდენტთა/მსმენელთა უფლებების დაცვა და მხარდაჭერა

სტუდენტთა უფლებების დაცვა

- შედეგები:
- საჩივრების რაოდენობა მინიმუმამდე იყო დაყვანილი — არ აღემატებოდა ერთ მაგალითს წლის განმავლობაში.
- სტუდენტთა კმაყოფილების დონე დარჩა 75%-ზე მაღლა.
- სასწავლო წლის დასაწყისში ჩატარდა საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები.
- თვითმმართველობამ განახორციელა მინიმუმ ერთი საერთო აქტივობა.

სწავლების ხარისხის მხარდაჭერა

- სტუდენტთა გადინების მაჩვენებელი შენარჩუნდა დაბალ ნიშნულზე; განხორციელდა დარგობრივი მასტერკლასები, და განვითარდა ელექტრონული სერვისები.

კურსდამთავრებულთა და დასაქმების მხარდაჭერა

შედეგები:
რეგულარულად იგზავნებოდა ინფორმაცია ვაკანსიებზე, გასაუბრებებზე და კარიერულ შესაძლებლობებზე.
გამოკვლეული იქნა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები და საჭიროებების მიხედვით დაგეგმილი ახალი მოკლევადიანი პროგრამები.
აქტიურად მიმდინარეობდა ექსტრაკურიკულარული პროექტები.

სტრატეგიული მიზანი 4. საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება

საანგარიშო პერიოდში აკადემიამ აქტიურად იმუშავა ბრენდის ცნობადობის, პოზიციონირების და ფართო საზოგადოებასთან ურთიერთობის გაძლიერებაზე. განხორციელებული აქტივობები მიზნად ისახავდა როგორც პროფესიული განათლების პოპულარიზაციას, ისე დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამების მოწოდების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.

პირველ რიგში, პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით ჩატარდა მიზნობრივი სარეკლამო და საინფორმაციო კამპანიები, რომლებიც მოიცავდა როგორც ონლაინ, ისე ოფლაინ აქტივობებს. ამ კამპანიებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მაძიებელთა ინტერესის გაზრდასა და აკადემიის პროგრამების მიმართ ცნობადობის ზრდაში.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელების განვითარებას. განხორციელდა პლატფორმების მუდმივი განახლება, რის შედეგადაც საზოგადოებას მიეწოდებოდა დროული, ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაცია როგორც მიმდინარე პროცესებზე, ისე მიღება–გადამზადების შესაძლებლობებზე. კომუნიკაციის ეს ფორმატი ხელს უწყობდა დაინტერესებული მხარეების მუდმივ ჩართულობას.

გარდა ამისა, განხორციელდა საიმიჯო ღონისძიებები, რომლებიც წარმოადგენდა აკადემიის ღირებულებების, გამოწვევებისა და წარმატებების საჯარო პრეზენტაციას. ღონისძიებები მიზანმიმართულად ემსახურებოდა აკადემიის პოზიტიური იმიჯის გაძლიერებას და გარე პარტნიორებთან ურთიერთობის განმტკიცებას.

ასევე ჩატარდა ღია კარის დღე, რომლის ფარგლებშიც აკადემიამ წარმოადგინა თავისი პროგრამები, ინფრასტრუქტურა და სტუდენტური გარემო. ეს აქტივობა მნიშვნელოვანი იყო როგორც მაძიებლებისთვის, ისე პოტენციური პარტნიორებისთვის, რომლებიც უშუალოდ ეცნობოდნენ სასწავლო გარემოს.

მთლიანობაში, სტრატეგიული მიზანი 4 შესრულდა ისე, რომ გაარძინა აკადემიის ხილვადობა, გაზარდა საზოგადოებრივ სივრცეში მისი პოზიციონირება და მნიშვნელოვნად გააძლიერა საზოგადოებასთან კომუნიკაციის არხები.